



მხატვრული მინის ნივთების ხელოსან- რესტავრატორი

პროფესიული სტანდარტი

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2018 წელი

1. დასახელება (ქართულად): მხატვრული მინის ნივთების ხელოსან-რესტავრატორი
2. დასახელება (ინგლისურად): craftsman-restorer of the glass curiosity
3. პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი:
4. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით: 2651
5. დასაქმების სფეროს აღწერა: მხატვრული მინის ნივთების ხელოსან-რესტავრატორი ახორციელებს კერძო კოლექციებში, სამუზეუმო საცავებში, სხვადასხვა ფონდებში დაცული ეთნოგრაფიული (არა არქეოლოგიური წარმოშობის) ნივთების მოსამზადებელ/ტექნიკურ და სარესტავრაციო/ საკონსერვაციო სამუშაოებს. მხატვრული მინის ნივთების ხელოსან-რესტავრატორის კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია სარესტავრაციო ნივთის უსაფრთხოდ განთავსება, მისი მომზადება სარესტავრაციო/საკონსერვაციო სამუშაოებისათვის, ნაკეთობის რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ნაკლული ადგილების ამოვსება, კონსერვაცია, ნივთის შეფუთვა, ტრანსპორტირებისას უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
6. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები: მხატვრული მინის ნივთების ხელოსან-რესტავრატორის სამუშაო გარემოს წარმოადგენს შესაბამისად აღჭურვილი სახელოსნო. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე მას უწევს შეხება ტოქსიკურ ნივთიერებებთან. მხატვრული მინის ნივთების ხელოსან-რესტავრატორი შეიძლება დასაქმდეს მუზეუმში, გალერეაში, სარესტავრაციო სახელოსნოში, შესაძლებელია თვითდასაქმებაც.
7. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები: კანონმდებლობით დადგენილი არ არის.
8. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1	სამუშაოს ორგანიზება	1.1. აღმოუჩენს/ უზრუნველყოფს პირველად გადაუდებელ დახმარებას/ დახმარების გაწევას; 1.2. იცავს (პირად და სამუშაო ადგილის) სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს; 1.3. იცავს პროფესიულ ეთიკას; 1.4. იცავს გარემოსდაცვით ნორმებს; 1.5. იცავს შრომის უსაფრთხოების ნორმებს; 1.6. იცავს ორგანიზაციის შინაგანაწესს.
2	სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება	2.1. აწყობს სამუშაო ადგილს; 2.2. უზრუნველყოფს ნივთის უსაფრთხოდ

		<p>განთავსებას სახელოსნოში;</p> <p>2.3. ამზადებს ჩატარებული სამუშაოების ამსახველ ანგარიშს;</p> <p>2.4. ახორციელებს დამკვეთთან ეფექტურ კომუნიკაციას;</p> <p>2.5. ახდენს ხარჯების კალკულაციას;</p> <p>2.6. ახორციელებს ნივთის უსაფრთხო შეფუთვის/ მონაწილეობს ტრანსპორტირებაში.</p>
3	სარესტავრაციო პროცესის დაგეგმვა	<p>3.1. ახორციელებს ნივთის პირველად დათვალიერებას;</p> <p>3.2. ახორციელებს პირველად ფოტო-ფიქსაციას;</p> <p>3.3. ამზადებს ანგარიშს ნივთის მდგომარეობის შესახებ;</p> <p>3.4. გეგმავს ჩასატარებელ სარესტავრაციო სამუშაოებს;</p> <p>3.5. იმარაგებს სარესტავრაციო სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყოებს/მასალებს;</p> <p>3.6. აფასებს მოსალოდნელ რისკებს.</p>
4	ნივთის მომზადება სარესტავრაციოდ	<p>4.1. წმენდს ნივთის ზედაპირს მექანიკრად;</p> <p>4.2. წმენდს ნივთის ზედაპირს გამხსნელების გამოყენებით;</p> <p>4.3. ასუფთავებს ფრაგმენტების კიდეებს არსებული დაზინძურებისაგან;</p> <p>4.4. ახარისხებს ფრაგმენტებს ფერის, ფაქტურის, სისქისა და ფორმის მიხედვით;</p> <p>4.5. საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ზედაპირის გამაგრებას;</p> <p>4.6. აწესრიგებს სარესტავრაციო პროცესისათვის საჭირო მასალას.</p>
5	ნივთის რეკონსტრუქცია	<p>5.1. არგებს ფრაგმენტებს ერთმანეთზე;</p> <p>5.2. აფიქსირებს ფრაგმენტებს წებოვანი ლენტის საშუალებით;</p> <p>5.3. აფიქსირებს ფრაგმენტებს ლითონის დუგმების საშუალებით;</p> <p>5.4. ასხამს წებოს ნაპრალებში;</p> <p>5.5. ხსნის ლითონის დუგმებს ნივთიდან;</p>

		5.6. ასუფთავებს ნივთს წებოს ნარჩენებისაგან.
6	ნაკლული ადგილების ამოვსება	6.1. ამზადებს ნივთის ზედაპირს ყალიბის ასაღებად; 6.2. ამზადებს ღია ყალიბს; 6.3. ამზადებს დახურულ ყალიბს; 6.4. ამზადებს ამოსავსებ პოლიმერს ნივთის სპეციფიკიდან გამომდინარე; 6.5. ახორციელებს ამოვსებას ღია ყალიბით; 6.6. ახორციელებს ამოვსებას დახურული ყალიბით; 6.7. ახორციელებს ნივთის ზედაპირის დამუშავებას.
7	აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება	7.1. ასწორებს მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ აღმოჩენილ ხარვეზებს; 7.2. ასწორებს ნივთის რეკონსტრუქციის შემდეგ აღმოჩენილ ხარვეზებს; 7.3. ასწორებს ყალიბის მორგების შემდეგ აღმოჩენილ ხარვეზებს; 7.4. ამოწმებს გამოყენებული პოლიმერის შრობის ხარისხს; 7.5. ამოწმებს ფრაგმენტების შევსება/შეწებების ხარისხს; 7.6. აფასებს რესტავრირებული ნივთის საბოლოო სახეს.
8	პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	8.1. ეცნობა ორგანიზაციის სტრუქტურასა და საკუთარ უფლება-მოვალეობებს; 8.2. აფასებს საკუთარ კომპეტენციებს, ცოდნასა და უნარებს; 8.3. გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას; 8.4. ეცნობა პროფესიულ სიახლეებს; 8.5. ერთვება პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.

9. პიროვნული თვისებები:

- ორგანიზებულობა
- პასუხისმგებლობიანი

10. მატერიალური რესურსი

ინვენტარი, აღჭურვილობა:

ფოტოაპარატი, ინდივიდუალური სანათი ლუპით, პინცეტი, სკალპელი ტარი, ბინოკულარი, ლუპა, მაკრატელი, მინის ექსიკატორი, ხუფიანი კოლბა, სასაგნე მინა, ლითონის დუგმები.

მასალა, ნედლეული:

სხვადასხვა ზომის ძუის ჯაგრისები, სამედიცინო შპრიცი, წებოვანი ლენტი, აცეტონი, სპირტი, გამოხდილი წყალი, ბამბა, ბამბიანი ჩხირები, დროებითი წებო, არალდიტი, პარალოიდი 872, სილიკონი, პატარა ზომის მილაკები (საწრუპი), პიგმენტები, ხელთათმანი, რესპირატორი, სპეც-ტანსაცმელი, სკალპელის პირები (სხადასხვა ფორმის და ზომის), ერთჯერადი ჭიქები (საშუალო ზომის), პლასტმასის წკირები.

11. სამომავლო ტენდენციები:

- ადგილობრივი და უცხოელი დარგის სპეციალისტების გამოცდილების გაზიარება და ტრენინგების ჩატარება
- გადამზადება და საერთაშორისო სერტიფიცირება
- სწავლების ხარისხის მაღალი დონის შესანარჩუნებლად მასწავლებლების გარდა სწავლების პროცესში სფეროში აქტიურად მომუშავე სპეციალისტების ჩართვა და მასტერ-კლასების ჩატარება
- საერთაშორისო ტრენინგებში მონაწილეობა
- ტექნიკური ლიტერატურის შექმნა მშობლიურ ენაზე.

12. პროფესიული ცოდნა და უნარები:

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	სამუშაოს ორგანიზება	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მეთოდები • პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო რესურსის გამოყენების წესები • პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესები • პირადი ჰიგიენის დაცვის ნორმები • სამუშაო ადგილის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები • პირადი და სამუშაო ადგილის ჰიგიენურ-სანიტარული ნორმების დაცვის ხერხები • რესტავრატორთა პროფესიულ ეთიკის საერთაშორისო ნორმები • კოლეგებთან ურთიერთობის პროფესიული ეთიკის ნორმები • დამკვეთთან ურთიერთობის ეთიკის ნორმები • ზოგადი გარომოსდაცვითი ნორმები 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა • პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო რესურსის გამოყენება • პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა • პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვა • სამუშაო ადგილის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცვა • პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა კოლეგებთან ურთიერთობაში • პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა კულტურულ ძეგლებთან მიმართებაში • დამკვეთთან ურთიერთობისას ეთიკის ნორმების დაცვა • ზოგადი გარომოსდაცვითი ნორმების დაცვა

		<ul style="list-style-type: none"> პროფესიიდან გამომდინარე გარემოსათვის საფრთხის შემცველი ნივთიერებების სახეები საფრთხისშემცველი ნივთიერებების უტილიზაციის მეთოდები შრომის უსაფრთხოების საერთო ნორმები და წესები შესაბამის ხელსაწყო იარაღებთან და ქიმიურ საშუალებებთან უსაფრთხო მუშაობის წესები სამუშაო ადგილის მოწყობის უსაფრთხოების წესები ორგანიზაციის შინაგანაწესი ორგანიზაციის დადგენილი ნორმები. 	<ul style="list-style-type: none"> პროფესიიდან გამომდინარე გარემოსათვის საფრთხისშემცველი ნივთიერებების განსაზღვრა საფრთხისშემცველი ნივთიერებების უტილიზაცია უსაფრთხოების საერთო ნორმების და წესების დაცვა შესაბამის ხელსაწყო იარაღებთან და ქიმიურ საშუალებებთან უსაფრთხო მუშაობის წესების დაცვა სამუშაო ადგილის მოწყობა უსაფრთხოების წესების დაცვით ორგანიზაციის შინაგანაწესის დაცვა ორგანიზაციის დადგენილი ნორმებისა დაცვა.
2.	სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> შრომის უსაფრთხოების ნორმები ხელსაწყოების უსაფრთხოდ გამოყენების წესები სპეც-ტანსაცმელის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევის/გამოყენების წესები ნამუშევრის დაცულობისათვის აუცილებელი ზოგადი პრინციპები სხვადასხვა მასალით შესრულებული ნამუშევრების შესაბამისად განთავსების წესები ფოტო დოკუმენტაციის შეგროვება/დახარისხების წესები დოკუმენტაციის დიფერენცირების წესები/კრიტერიუმები ჩატარებული სამუშაოების აღწერის წესი დამკვეთთან ეფექტური კომუნაკაციის წესები 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა ხელსაწყოების უსაფრთხოდ გამოყენება მასალების უსაფრთხოდ გამოყენება სპეც-ტანსაცმელის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შერჩევა/გამოყენება ნამუშევრის დაცულობისათვის აუცილებელი მარტივი ღონისძიებების განხორციელება სხვადასხვა მასალით შესრულებული ნამუშევრების შესაბამისად განთავსება დოკუმენტაციის შეგროვება/დახარისხება დოკუმენტაციის დიფერენცირება ჩატარებული სამუშაოების შინაარსის ანალიზი

		<ul style="list-style-type: none"> • კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენების წესები • დამკვეთთან ურთიერთობის ეტიკის ნორმები • საჭირო მასალის შერჩევის მეთოდი • მასალის ღირებულების კალკულაციის მეთოდი • შესრულებული სამუშაოს საბოლოო ღირებულების გამოთვლის წესი • ნივთის შესაფუთი მასალების ტიპები • ნივთის შეფუთვის წესები • უსაფრთხო ტრანსპორტირების წესები. 	<ul style="list-style-type: none"> • ჩატარებული სამუშაოს აღრიცხვა • პრეზენტაციის მომზადება • პრეზენტაციის წარმართვა • დამკვეთთან ეფექტური კომუნიკაცია • კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენება • დამკვეთთან ურთიერთობა ეტიკის ნორმების დაცვით • საჭირო მასალის განსაზღვრა • მასალის ღირებულების კალკულაცია • შესრულებული სამუშაოს საბოლოო ღირებულების გამოთვლა • ნივთის შესაფუთი მასალის შერჩევა • ნივთის შეფუთვა • ნივთის უსაფრთხოდ ტრანსპორტირება.
3.	სარესტავრაციო პროცესის დაგეგმვა	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ნივთის დათვალიერებისათვის საჭირო ხელსაწყოების შერჩევის წესი • ნივთის დათვალიერებისათვის საჭირო ხელსაწყოების გამოყენების წესი • დაზიანების ტიპები • დაზიანებული ადგილების ამოცნობის მეთოდები • პირველადი ფოტო ფიქსაციის წესები • ფოტო ფიქსაციისათვის საჭირო მოწყობილობის თავისებურებები • ფოტო ფიქსაციისათვის საჭირო მოწყობილობის გამოყენების წესები • დაზიანების ძირითადი ტიპები • ნამუშევრის აღწერილობის შედგენის წესები • პირველადი დოკუმენტაციის შედგენის წესები 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ნივთის დათვალიერებისათვის საჭირო ხელსაწყოების შერჩევა • ნივთის დათვალიერებისათვის საჭირო ხელსაწყოების გამოყენება • დაზიანებული ადგილების ამოცნობა • პირველადი ფოტო ფიქსაციის წესების დაცვა • პირველადი ფოტო ფიქსაციისათვის საჭირო მოწყობილობის დიფერენცირება • პირველადი ფოტო ფიქსაციისათვის საჭირო მოწყობილობის გამოყენება • დაზიანების ტიპების ამოცნობა • ნამუშევრის აღწერილობის შედგენა • პირველადი დოკუმენტაციის შედგენა • ტექნიკური რესურსების

		<ul style="list-style-type: none"> • არსებული ტექნიკური რესურსების ჩამონათვალი • მინის რესტავრაციის მეთოდები • რესტავრაციის პროცესის ეტაპები • სარესტავრაციო მასალების/ხელსაწყოების სახეები • სარესტავრაციო მასალების/ხელსაწყოების თვისებები • დაგეგმილი სამუშაოს ეტაპები • შესაძლო გართულებების სახეები • შესაძლო ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების გზები. 	<p>მოძიება</p> <ul style="list-style-type: none"> • საჭირო ინფორმაციის მოძიება • შესასრულებელი სამუშაოს ეტაპების რიგითობის განსაზღვრა • სარესტავრაციო მასალის/ხელსაწყოების ადეკვატური გამოყენება • ოპტიმალური რესურსის შერჩევა • დაგეგმილი სამუშაოს ეტაპების ნათლად აღწერა • სავარაუდო გართულებების იდენტიფიცირება • სავარაუდო უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება.
4.	<p>ნივთის მომზადება სარესტავრაციოდ</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • მექანიკური წმენდისათვის საჭირო ხელსაწყოების სახესხვაობები • მექანიკური წმენდისათვის საჭირო ხელსაწყოების გამოყენების წესები • გამხსნელების სახესხვაობები/თვისებები • გამხსნელების გამოყენების წესები • ზედაპირის გამხსნელებით წმენდის წესები • გამხსნელების გამოყენების უსაფრთხოების წესები • შესაძლო დაზიანებების სახეები • წმენდის მეთოდები • საწმენდი საშუალებების სახეები • მინის ნაკეთობების დამზადების ძირითადი მეთოდები • ფრაგმენტების ამოცნობის მეთოდი • ფრაგმენტების დახარისხების წესი • მინის ნაკეთობის ზედაპირის შემკულობის ძირითადი სახეები • ზედაპირული ფენის დაზიანების სახეები 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მექანიკური წმენდისათვის საჭირო ხელსაწყოების დიფერენცირება • მექანიკური წმენდისათვის საჭირო ხელსაწყოების გამოყენება • გამხსნელების დიფერენცირება • ზედაპირის გამხსნელებით გაწმენდა • • • ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე მინის ნაკეთობების დამზადების სავარაუდო მეთოდის დადგენა • ფრაგმენტების ამოცნობა • ფრაგმენტების დახარისხება • მინის ნაკეთობის ზედაპირის შემკულობის ტიპის განსაზღვრა • ზედაპირული ფენის დაზიანების სახეების დადგენა • ზედაპირული ფენის გამაგრება • წებოვანი ლენტის გამოსაყენებლად მომზადება • ლითონის დუგების შერჩევა/მომზადება

		<ul style="list-style-type: none"> • ზედაპირული ფენის გამაგრების მეთოდები • წებოვანი ლენტის გამოსაყენებლად მომზადების წესი • ლითონის დუგმების შერჩევა/მომზადების წესი • წებოს გამოსაყენებლად მომზადების წესი. 	<ul style="list-style-type: none"> • წებოს გამოსაყენებლად მომზადება.
5.	ნივთის რეკონსტრუქცია	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკონსტრუქციის საწყისი არის შერჩევის წესი • ფრაგმენტების ერთმანეთზე მორგების წესი • მორგებული ფრაგმენტების გადაბმის შემოწმების წესი • წებოვანი ლენტით ფრაგმენტების დაფიქსირების წესი • წებოვანი ლენტის ფრაგმენტებზე განთავსების წესი • წებოვანი ლენტის განსათავსებლად ზედაპირის შერჩევის წესი • ლითონის დუგმებით ფრაგმენტების დაფიქსირების წესი • ლითონის დუგმების ფრაგმენტებზე განთავსების წესი • ლითონის დუგმების განსათავსებლად ზედაპირის შერჩევის წესი • წებოს სახეები • წებოს მომზადების წესი • წებოს ნაპრალებში ჩასხმის წესი • ფრაგმენტების შესაწებებლად გამოსაყენებელი წებოს შრობის პარამეტრები • ნივთიდან ლითონის დუგმების მოხსნის წესი • ნივთიდან ლითონის დუგმების მოხსნასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები • ნივთის ზედაპირიდან წებოს ნარჩენების მექანიკურად მოშორების მეთოდი 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკონსტრუქციის საწყისი არის შერჩევა • ფრაგმენტების ერთმანეთზე მორგება • მორგებული ფრაგმენტების გადაბმის შემოწმება • წებოვანი ლენტით ფრაგმენტების დაფიქსირება • წებოვანი ლენტის ზოლებს შორის ინტერვალის დაცვა • წებოვანი ლენტის განსათავსებლად ზედაპირის შერჩევა • ლითონის დუგმებით ფრაგმენტების დაფიქსირება • ლითონის დუგმებს შორის ინტერვალის დაცვა • ლითონის დუგმების განსათავსებლად ზედაპირის შერჩევა • წებოს შერჩევა სარესტავრაციო ნივთის სპეციფიკიდან გამომდინარე • წებოს მომზადება • წებოს ჩასხმა ნაპრალებში • ფრაგმენტების შესაწებებლად გამოსაყენებელი წებოს შრობის პირობებისა და დროის განსაზღვრა • ნივთიდან ლითონის დუგმების მოხსნა წესის დაცვით • ნივთიდან ლითონის დუგმების მოხსნასთან დაკავშირებული შესაძლო რისკების განსაზღვრა

		<ul style="list-style-type: none"> • ნივთის ზედაპირიდან წებოს ნარჩენების გამხსნელების საშუალებით მოშორების მეთოდი • გამოყენებული წებოს თვისებები • გამოსაყენებელი გამხსნელების თვისებები • შესაძლო გართულებების სახეები და მათი თავიდან აცილების გზები. 	<ul style="list-style-type: none"> • უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება • ნივთის ზედაპირიდან წებოს მოშორების მეთოდის შერჩევა • ნივთის ზედაპირიდან წებოს ნარჩენების მექანიკური მეთოდით მოშორება • გამოყენებული წებოს თვისებების გათვალისწინებით გამხსნელის შერჩევა • ნივთის ზედაპირიდან წებოს ნარჩენების გამხსნელების საშუალებით მოშორება.
6.	<p>ნაკლული ადგილების ამოვსება</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ზედაპირის დასამუშავებლად საჭირო მასალის ტიპები/თვისებები • ზედაპირის დამუშავების მეთოდები • ნივთის ზედაპირიდან ყალიბის ასაღები არის შერჩევის წესი • ღია ყალიბის დასამზადებლად საჭირო მასალის ტიპები/თვისებები • ღია ყალიბის დამზადების მეთოდები • დახურული ყალიბის დასამზადებლად საჭირო მასალის ტიპები/თვისებები • საყალიბე მასალის მომზადების წესები • დახურული ყალიბის დამზადების მეთოდები • პოლიმერების ტიპები/თვისებები • ნივთის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭირო პოლიმერის შერჩევის წესები • პოლიმერების მომზადების წესები • ღია ყალიბის მორგების წესები • ღია ყალიბის დამაგრების წესები • ღია ყალიბში პოლიმერის ჩასხმის წესები • ღია ყალიბის მოხსნის წესები • დახურული ყალიბის მორგების 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ნივთის სპეციფიკიდან გამომდინარე ყალიბის ასაღები არის შერჩევა • ზედაპირის დასამუშავებლად საჭირო მასალის შერჩევა • ზედაპირის დამუშავების მეთოდების შერჩევა • ღია ყალიბის დასამზადებლად საჭირო მასალის შერჩევა • ღია ყალიბის დამზადება • დახურული ყალიბის დასამზადებლად საჭირო მასალის შერჩევა • საყალიბე მასალის მომზადება • დახურული ყალიბის დამზადება • ნივთის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭირო პოლიმერის შერჩევა • პოლიმერების მომზადება • ღია ყალიბის მორგება • ღია ყალიბის დამაგრება • ღია ყალიბში პოლიმერის ჩასხმა • ღია ყალიბის მოხსნა ნივთიდან • დახურული ყალიბის მორგება • დახურული ყალიბის დამაგრება • დახურულ ყალიბში პოლიმერის ჩასხმა

		<p>წესები</p> <ul style="list-style-type: none"> • დახურული ყალიბის დამაგრების წესები • დახურულ ყალიბში პოლიმერის ჩასხმის წესები • დახურული ყალიბის მოხსნის წესები • ნივთის ზედაპირის მექანიკური გასუფთავების მეთოდები • ნივთის ზედაპირის გამხსნელებით გასუფთავების მეთოდები • კონსერვაციის საჭიროების განსაზღვრის წესები • კონსერვაციის მეთოდები. 	<ul style="list-style-type: none"> • დახურული ყალიბის მოხსნა ნივთიდან • ნივთის ზედაპირის მექანიკური მეთოდით გასუფთავება • ნივთის ზედაპირის გამხსნელებით გასუფთავება • ნივთის კონსერვაციის საჭიროების განსაზღვრა • ნივთის კონსერვაცია.
7.	<p>აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ნივთის რესტავრაციის პროცესისათვის მზაობის ნორმები • ნივთის მდგომარეობის შეფასების ხერხები • აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორების ხერხები • ნივთის რეკონსტრუქციის ნორმები • ნივთის რეკონსტრუქციის სიზუსტის შეფასების ხერხები • ყალიბის მორგების ნორმები • ყალიბის მორგების სიზუსტის შეფასების ხერხები • გამოყენებული პოლიმერების შრობის პარამეტრები • გამოყენებული პოლიმერების შრობის ხარისხის შეფასების ხერხები • შრობისათვის საჭირო გარემოს შექმნა • ფრაგმენტების შევსება/შეწებების ნორმები • ფრაგმენტების შევსება/შეწებების სიზუსტის შეფასების ხერხები • რესტავრირებული ნივთის საბოლოო სახის შეფასების კრიტერიუმები • ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების ხარისხის 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ნივთის რესტავრაციის პროცესისათვის მზაობის განსაზღვრა • ნივთის მდგომარეობის შეფასების ხერხების გამოყენება • აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება • ნივთის რეკონსტრუქციის სიზუსტის განსაზღვრა • ნივთის რეკონსტრუქციის სიზუსტის შეფასების ხერხების გამოყენება • ყალიბის მორგების ნორმების განსაზღვრა • ყალიბის მორგების სიზუსტის შეფასების ხერხების გამოყენება • გამოყენებული პოლიმერების შრობის პარამეტრების განსაზღვრა • გამოყენებული პოლიმერების შრობის ხარისხის შეფასების ხერხების გამოყენება • შრობისათვის საჭირო გარემოს შექმნა • ფრაგმენტების შევსება/შეწებების ნორმების განსაზღვრა • ფრაგმენტების შევსება/შეწებების სიზუსტის შეფასების ხერხების გამოყენება

		შეფასების ხერხები.	<ul style="list-style-type: none"> რესტავრირებული ნივთის საბოლოო სახის შეფასება ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების ხარისხის შეფასების ხერხების გამოყენება.
8.	პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> სარესტავრაციო პროფილის ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულები აღნიშნულ ორგანიზაციებში დასაქმებულების უფლება - მოვალეობები საკუთარი კომპეტენციის შეფასების ხერხები საკუთარი ცოდნის შეფასების ხერხები საკუთარი უნარების შეფასების ხერხები მოთხოვნები პროფესიული განვითარების მიმართ რესტავრაციის დარგში პროფესიული ლიტერატურის მოძიების წესები რესტავრაციის დარგში ინტერნეტ რესურსების მოძიების ხერხები საქართველოში მოქმედი პროფესიული გაერთიანებების მოძიების ხერხები კონფერენციების შესახებ ინფორმაციის მოძიების წესები ინფორმაციის მოძიების წესები სემინარების შესახებ ინფორმაციის მოძიების წესები პროფესიული ტრენინგ-კურსების შესახებ პროფესიული ტრენინგის მნიშვნელობა პროფესიული განვითარებისათვის. 	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> სარესტავრაციო პროფილის ორგანიზაციების სტრუქტურულ ერთეულებში გარკვევა აღნიშნულ ორგანიზაციებში დასაქმებულების უფლება - მოვალეობებში გარკვევა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედება საკუთარი ცოდნის შეფასება საკუთარი უნარების წარმოჩენა საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესი დაგეგმვა პროფესიულ ტრენინგზე მიღებული ინფორმაციის გაგება-გააზრება რესტავრაციის დარგში პროფესიული ლიტერატურის მოძიება რესტავრაციის დარგში ინტერნეტ რესურსების მოძიება საქართველოში მოქმედი პროფესიული გაერთიანებების აქტივობების მოძიება ინფორმაციების მოძიება კონფერენციების შესახებ ინფორმაციების მოძიება სემინარების შესახებ პროფესიული ტრენინგ - კურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება პროფესიულ ტრენინგის შესახებ მიღებული ინფორმაციის გაგება-გააზრება.

13. სტანდარტის მოქმედების ვადა: 5 წელი

14. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები:

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1	ვაჟა ჩიტორელიძე	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (ოსსა)/რესტავრატორი
2	სალომე ახალაძე	სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი /რესტავრატორი
3	სალომე მიქაბერიძე	კერძო სახელოსნო/რესტავრატორი
4	მარიამ მჭედლიშვილი	სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი/რესტავრატორი
5	თეონა კილაძე	კერძო სახელოსნო/რესტავრატორი
6	ანა შეროზია	კერძო სახელოსნო/რესტავრატორი
7	ნინო უჩუმბეგაშვილი	კერძო სახელოსნო/რესტავრატორი
8	ლელა მიქაბერიძე	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, დარგის ფასილიტატორი
9	დარეჯან ლოსაბერიძე	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების ფასილიტატორი

დასახელება: მხატვრული მინის ნივთების ხელოსან-რესტავრატორი

შეფასების სტანდარტი

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

შეფასების სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლების ან/და არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს პროფესიულ სტანდარტში ასახული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების შეფასების ან/და დადასტურების აუცილებელ პირობებს:

1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებს და ამოცანებში;
2. შესაფასებელი კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომელიც ასახავს აუცილებელ პროფესიულ ცოდნას და უნარებს;
3. შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების შესაძლებლობებს;

4. გამოცდის პროცესს და კომპონენტებს.

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების გზები:

- ა) ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა)
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული კომპეტენციების დადასტურება (ნამდვილობის დადასტურება) განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით
- გ) მიღწეული კომპეტენციების დადასტურება ამ დოკუმენტით დადგენილი პრინციპებით ჩატარებული გამოცდის გზით

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

ფორმალურ განათლებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი

ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი მოიცავს მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას (ჩათვლას) საძიებელი კვალიფიკაციის მიზნებისათვის ქვემოთ მოცემული პრინციპების შესაბამისად,

ა) დასაშვებია ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა) ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში, თუ სწავლის შედეგები თავსებადია საძიებელ კვალიფიკაციასთან და მათი მიღწევა დადასტურებულია, რაც გამოიხატება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული დადებითი შეფასებით და შესაბამისი კრედიტის მინიჭებით.

ბ) თავსებადობის დადგენისთვის შინაარსობრივი შესწავლის მიზნით ამღიარებელი დაწესებულება ეყრდნობა პროფესიულ სტანდარტს ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც არის შემუშავებული გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამის კომპონენტი, არსებობის შემთხვევაში - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ან/და სილაბუსებს, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს. ამღიარებელი დაწესებულება უფლებამოსილია აღიარების მიზნებისათვის შესაფასებელ პირს მოსთხოვოს გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) გამოთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და წარდგენა.

გ) სწავლის შედეგების თავსებადობის განსაზღვრის მიზნით აუცილებელი არაა მათი ფორმულირება იყოს იდენტური. თავსებადად ჩაითვლება სწავლის შედეგები, რომლებიც/რომელთა ერთობლიობაც შინაარსის თვალსაზრისით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის გათვალისწინებით შესაძლოა მიჩნეულ იქნას ანალოგიურად.

ნაწილი 2. მითითებები შესაფასებელი პირის ადა შემფასებლისათვის

შეფასების დაწყებამდე გაეცანით:

- პროფესიულ სტანდარტს

- შეფასების ინსტრუმენტებს
- დაინტერესებული/შესაფასებელი პირის კომპეტენციების აღიარებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს
- შემფასებლის ჩანაწერების ფორმებს
- შეფასების პირობებს
- შეფასების წესებს
- შეფასების კრიტერიუმებს

შეფასების პროცესში:

- პირადად დააკვირდით დავალებების შესრულების/შეფასების პროცესს
- თითოეული შესაფასებელისათვის აწარმოეთ შეფასების ჩანაწერების ფორმები
- თუ აუცილებელია შესაფასებელს დაუსვით დამატებითი შეკითხვები დავალებასთან დაკავშირებით
- შეაფასეთ თითოეული კრიტერიუმი

შეფასების დასრულებისას:

- შესაფასებელს მიეცით განმარტება შეფასებასთან დაკავშირებით
- შეაჯამეთ შეფასების შედეგები
- დაადასტურეთ შეფასების შედეგები ხელმოწერით
- შეფასების ჩანაწერები გადაეცით სათანადოდ უფლებამოსილ პირს

ნაწილი 3. შეფასების პროცედურა

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ორგანიზების პროცესი და კომპონენტები

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ჩატარების პროცესი მოიცავს დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების შესრულების ეტაპებს.

მიუხედავად იმისა, დასტურდება თუ არა კვალიფიკაციით გათვალისწინებული კომპეტენციები შეფასების სტანდარტის ნაწილი 1-ის „შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება“ „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, შეფასების პროცესი მოიცავს სავალდებულო კომპონენტს (გამოცდას), რომლის შეფასება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულია გამოკითხვისა და პრაქტიკულ დავალებაზე დაკვირვების პროცესის მოთხოვნები, ასევე შეფასების სავალდებულო კომპონენტები.

ნაწილი 4 : თეორიული გამოკითხვის და პრაქტიკული /დავალებების თემატიკა

გამოკითხვა

გამოკითხვის ფორმა:

- შესაფასებელი პირის გამოკითხვა ხორციელდება ტესტის და ზეპირი შეკითხვების სახით
- ტესტი უნდა მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შეკითხვებს

გამოკითხვის პროცესის მონიტორინგი:

არსებითია გამოკითხვის პროცესზე შემფასებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელება;

მოპოვებული მტკიცებულებები:

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ მომზადებული წერილობითი ნაშრომით/შესრულებული ტესტით, ან/და პრაქტიკული დავალების დროს დამატებით, დამაზუსტებელ შეკითხვებზე პასუხებით.

თეორიული საგამოცდო თემატიკა:

- დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად საგამოცდო თემატიკა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:
 - ა) პირადი ჰიგიენის და სანიტარული ნორმები;
 - ბ) შრომის უსაფრთხოების ნორმები;
 - გ) მინის ნივთზე დაზიანებული ადგილების ამოცნობის მეთოდები;
 - დ) რესტავრაციის პროცესის ეტაპები;
 - ე) სარესტავრაციო საწმენდი საშუალებების სახეები და წმენდის მეთოდები;
 - ვ) მინის ნივთის რეკონსტრუქციის მეთოდები.

სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

ნაწილი 5. პრაქტიკული დავალების/დავალებები შესრულების/შეფასების კრიტერიუმების მითითებებით:

პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება

საგამოცდო გარემო:

შესაფასებელი პირის შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალებების სახით.

საგამოცდო პროცესის მონიტორინგი:

საგამოცდო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს შემფასებელი/შემფასებლები (ნეიტრალური კომისია) წინასწარი დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

მოპოვებული მტკიცებულებები:

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმით.

საგამოცდო პრაქტიკული დავალებების ჩამონათვალი:

დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად სტუდენტმა უნდა შეასრულოს დავალება:

- ა) სარესტავრაციო პროცესის დაგეგმვა;
- ბ) ნივთის სარესტავრაციოდ მომზადება;
- გ) ნივთის რეკონსტრუქცია;
- დ) ნაკლული ადგილების ამოვსება;
- ე) აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება.

გაითვალისწინეთ:

1. შესაფასებელი პირის მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოებისას ეკონომიური, ხარისხის უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, სამართლებრივი, უსაფრთხოების წესების დაცვის, ჰიგიენის დაცვის მიდგომების, სამუშაოს შესრულების თანამიმდევრობის შეფასება წარმოადგენს ზემოთჩამოთვლილ დავალებებზე დაკვირვების თანამდევ პროცესს და მასზე დამატებითი დროის გამოყოფა არაა რეკომენდებული.
2. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელი პირი პასუხობს მათ და საჭიროების შემთხვევაში მოჰყავს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების შესაბამისი არგუმენტები
3. სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

ნაწილი 6. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაცია

შემფასებლის ჩანაწერების ფორმები

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

დადასტურებული კომპეტენცია	მტკიცებულებები		
	ფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	არაფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	გამოცდა (დანართი N)

შედეგი: დადასტურდა -----/ არ დადასტურდა -----

შემფასებლის კომენტარი:
დადასტურება: